



საქართველოს ბანკის
უნივერსიტეტი

შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“

სტუდენტის ეთიკის კოდექსი

დამტკიცებულია შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის
2018 წლის 22 მაისის #103 ბრძანებით



საქართველოს ბანკის
უნივერსიტეტი

შინაარსი

თავი I. ზოგადი დებულებანი	3
1. პრეამბულა	3
თავი II. კოდექსის მოქმედების ფარგლები, მიზანი და დანიშნულება	3
2. კოდექსის მოქმედების ფარგლები	3
თავი III. სტუდენტის ქცევის წესები	4
7. აკადემიური სიყალბე	4
8. სტუდენტისათვის შეუფერებელი და არაეთიკური ქცევა	5
თავი V. დისციპლინური წარმოება და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები	5
9. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია	5
10. დისციპლინური წარმოებისა და პასუხისმგებლობის ნორმების მიზანი	5
11. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები	6
12. დისციპლინური სახდელის სახეები	6
13. დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანოები და მათი უფლებამოსილებანი	6
14. დისციპლინური წარმოების კონფიდენციალობა	7
15. დისციპლინური დევნის წარმოება	7
16. დისციპლინური წარმოების დაწყება	7
17. დისციპლინური წარმოების შეჩერება და გადადება	9
18. განცხადების/საჩივრის განხილვის წესები	9
19. დისციპლინური დამრღვევის მონაწილეობა საქმის განხილვაში	10
20. გადაწყვეტილების სახეები	10
21. დისციპლინური სახდელების დაკისრება	10
22. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების შინაარსი	10
23. შეტყობინება დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების შესახებ	11
24. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება	11
25. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილებების აღსრულება	11
26. სახდელის მოქმედების ვადები	11
თავი VI. დასკვნითი დებულებანი	12
27. შეღავათები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე	12
28. დასკვნითი დებულებანი	12



თავი I. ზოგადი დებულებანი

1. პრეამბულა

- 1.1. ეთიკის კოდექსი განკუთვნილია შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტებისათვის. იგი საუნივერსიტეტო ღირებულებებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ადგენს სტუდენტური კონტიგენტის ქცევისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებს, მათ შორის წამოჭრილი ეთიკური პრობლემების მოგვარების შესაძლო გზებს;
- 1.2. სასწავლო უნივერსიტეტი ცნობს თავის ვალდებულებებს სახელმწიფოს, პარტნიორი ორგანიზაციების, საერთო და საუნივერსიტეტო საზოგადოებრიობის წინაშე და უზრუნველყოფს სტუდენტების ქცევის წესებისა და ეთიკური ნორმების მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას და განვითარებას;
- 1.3. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები ვალდებული არიან დაიცვან ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სასწავლო უნივერსიტეტის მიერ განათლების ძირითადი მიზნების ეფექტურად განხორციელებას, საზოგადოების წინაშე მაღალი ნდობისა და ავტორიტეტის მოპოვებას და პრესტიჟის შემდგომ ამაღლებას;
- 1.4. წინამდებარე ეთიკის კოდექსი სრულ შესაბამისობაშია შესაბამის ქართულ კანონმდებლობასთან, მათ შორის საქართველოს კონსტიტუციას, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს და „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან, ისევე როგორც უნივერსიტეტის წესდებასა და შინაგანაწესთან.
- 1.5. კოდექსი შემუშავებულია უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების და აზრთა გაცვლის საფუძველზე.

თავი II. კოდექსის მოქმედების ფარგლები, მიზანი და დანიშნულება

2. კოდექსის მოქმედების ფარგლები

- 2.1. კოდექსის მოქმედება ვრცელდება სასწავლო უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებზე;

3. კოდექსის მიზანი

- 3.1. კოდექსი მიზნად ისახავს სასწავლო უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების საქმიანობის პრინციპების, ქცევის წესებისა და ურთიერთობის ეთიკური სტანდარტების (ნორმების) ჩამოყალიბებას;
- 3.2. კოდექსის მიზანია ჩამოყალიბოს პრინციპები, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედონ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებმა.

4. კოდექსის დანიშნულება

- 4.1. ხელი შეუწყოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში თვითდისციპლინის და სხვათა პატივისცემის დამკვიდრებას;
- 4.2. უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტში, ჰარმონიისა და სხვაზე ზრუნვის ატმოსფეროს შექმნა;
- 4.3. ხელი შეუწყოს სტუდენტთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას;
- 4.4. განსაზღვროს თითოეული სტუდენტის უფლებამოსილებანი;

- 4.5. კოდექსი ემსახურება საუნივერსიტეტო საზოგადოებაში წამოჭრილი ეთიკური პრობლემების მოგვარების შესაძლო გზებს და ამ კოდექსით, მოქმედი კანონმდებლობით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებითა და სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის შემთხვევაში დისციპლინური წარმოებისა და პასუხისმგებლობის საკითხებს.

თავი III. სტუდენტის ქცევის წესები

5. სტუდენტის სტატუსი

- 5.1. ამ კოდექსის მიზნებისათვის მოქმედ სტუდენტად მიიჩნევა: პირი, რომელიც სწავლობს სასწავლო უნივერსიტეტში;
- 5.2. სასწავლო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით მისთვის მინიჭებული უფლებებით;
- 5.3. სტუდენტი იზიარებს სასწავლო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ღირებულებებს და იცავს ამ კოდექსით დადგენილ წესებს;
- 5.4. სტუდენტი აღიარებს სასწავლო უნივერსიტეტის უფლებას, ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, განიხილოს მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და ამასთან, აცნობიერებს მიღებული გადაწყვეტილების სავალდებულო ხასიათს.

6. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის ვალდებულება

- 6.1. გაეცნოს ეთიკის კოდექსს და დაემორჩილოს მას, როდესაც იგი: იმყოფება სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ესწრება ლექციას, სასწავლო უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ღონისძიებებში როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ისე მის გარეთ;
- 6.2. ამ კოდექსის შესაძლო დარღვევის ფაქტი აცნობოს სკოლის/სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;
- 6.3. პატივი სცეს სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის (ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, აკადემიური პერსონალი და მოწვეული პედაგოგები) წარმომადგენლებს. პრობლემების/კონფლიქტის გაჩენის შემთხვევაში მათი გადაჭრა უნდა მოხდეს სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, სხვა არსებული კანონქვემდებარე აქტებისა და კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად;
- 6.4. პატივი სცეს სასწავლო უნივერსიტეტს, დაიცვას ეთიკის კოდექსის მოთხოვნები და ამით ხელი შეუწყოს სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიტეტის ამაღლებას, ამასთანავე, ზედმიწევნით დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;
- 6.5. გაუფრთხილდეს სასწავლო უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას. აღნიშნული პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მას ეკისრება მატერიალური ზარალის ანაზღაურების ვალდებულება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

7. აკადემიური სიყალბე

- 7.1. სტუდენტს უფლება არა აქვს ჩაიდინოს აკადემიური სიყალბე, კერძოდ:
- 7.1.1. პლაგიატი;
- 7.1.2. გადაწერა-კარნახი;
- 7.1.3. ფალსიფიკაცია;
- 7.1.4. აკადემიური ეთიკის ნორმების დაუცველობა;

- 7.1.5. სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება, ან თხოვნა სხვა პირისათვის, რომ მის მაგივრად ჩააბაროს გამოცდა;
- 7.1.6. კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება გამოცდის შესახებ;
- 7.1.7. სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება ან შეცვლა;
- 7.1.8. თავისი საუნივერსიტეტო მონაცემების გაყალბება;
- 7.1.9. ხელის შეშლა სხვა სტუდენტისათვის სწავლისა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;
- 7.1.10. სხვა სტუდენტისათვის ხელის შეწყობა აკადემიურ სიყალბეში;
- 7.1.11. კვლევითი სამუშაოების ფაქტობრივი ინფორმაციის გამოყენება ან გაყალბება;
- 7.1.12. კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება;
- 7.1.13. შეფასების მიღების მცდელობას გამომცდელებზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით;

8. სტუდენტისათვის შეუფერებელი და არაეთიკური ქცევა

- 8.1. სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:
 - 8.1.1. ნეგატიური ზეგავლენა აკადემიური პროცესის დინამიკაზე, მის ეფექტურობაზე, რაც იწვევს ფსიქოემოციურ დისკომფორტს.
 - 8.1.2. კორექტული ურთიერთობის პრინციპების დაუცველობა ყოველდღიურ სტუდენტურ ცხოვრებაში.
 - 8.1.3. ნებისმიერი ეთიკური ნორმის დარღვევა.
 - 8.1.4. სასწავლო უნივერსიტეტის ინვენტარის დაზიანება
 - 8.1.5. შეურაცხყოფის მიყენება, ძალადობა სხვა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და მოწვეული პედაგოგების მიმართ.

თავი V. დისციპლინური წარმოება და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები

9. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია

- 9.1. შეუფერხებლად განახორციელოს საკუთარი წესდების, ეთიკის კოდექსისა და ადმინისტრაციული აქტების მოთხოვნათა შესრულების მონიტორინგი;
- 9.2. მოთხოვოს სტუდენტს/სტუდენტებს ცნობის წარმოდგენა ნარკოლოგიური /ფსიქონევროლოგიური შემოწმების ან/და სათანადო აღრიცხვაზე ყოფნის შესახებ;
- 9.3. მოთხოვოს სტუდენტს ცნობის წარმოდგენა ნასამართლეობის შესახებ;
- 9.4. სტუდენტის ნასამართლობისა და/ან ნარკოლოგიური ნივთიერებების მოხმარების ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია საქმე შესწავლისა და სათანადო რეაგირებისათვის გადასცეს სკოლის საბჭოს.

10. დისციპლინური წარმოებისა და პასუხისმგებლობის ნორმების მიზანი

- 10.1. დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები განსაზღვრავს სტუდენტების დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, დისციპლინური სახდელის სახეებს, დისციპლინური დევნის დაწყების, დისციპლინური წარმოების განხორციელებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს.



11. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები

- 11.1. სტუდენტებს დისციპლინური დარღვევის ჩადენისათვის ეკისრება დისციპლინური სახდელი;
- 11.2. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველია:
 - 11.2.1. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა;
 - 11.2.2. სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით, ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობა/დარღვევა;
 - 11.2.3. ამ კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების დარღვევა;
 - 11.2.4. ნებისმიერი საქციელი/ქმედება, რომელიც შეიძლება ფორმალურად არ წარმოადგენს 11.2.1, 11.2.2 ან/და 11.2.3 ქვეპუნქტებში წარმოდგენილ დარღვევას, მაგრამ ბღალავს სასწავლო უნივერსიტეტისა და საუნივერსიტეტო საზოგადოების პატივს, ღირსებასა და რეპუტაციას.

12. დისციპლინური სახდელის სახეები

- 12.1. სტუდენტებისათვის დაწესებულია დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:
 - 12.1.1. შენიშვნა;
 - 12.1.2. საყვედური;
 - 12.1.3. სასტიკი საყვედური;
 - 12.1.4. ჯარიმა;
 - 12.1.5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

13. დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანოები და მათი უფლებამოსილებანი

- 13.1. სასწავლო უნივერსიტეტში ეთიკის კოდექსის შესრულება და დისციპლინის მონიტორინგი, ასევე დისციპლინური წარმოება ხორციელდება დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანოების (შემდგომში „დისციპლინური ორგანო“) და სათანადო უფლებამოსილების მქონე უნივერსიტეტის სამსახურების მიერ;
- 13.2. სტუდენტების მიმართ დისციპლინურ წარმოებას ანხორციელებს სკოლის საბჭო;
- 13.3. დისციპლინურ ორგანოს გააჩნია შემდეგი უფლებამოსილებები:
 - 13.3.1. მიიღოს და შეისწავლოს შემოსული ინფორმაცია (განცხადება/საჩივარი);
 - 13.3.2. შეამოწმოს დისციპლინური დევნის აღძვრისათვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადები;
 - 13.3.3. განსაზღვროს, უნდა აღიძრას თუ არა დისციპლინური დევნა. ამისათვის დისციპლინურმა ორგანომ უნდა ჩამოართვას წერილობითი ახსნა-განმარტება საჩივრის ავტორს და პირს, რომლის წინააღმდეგაც შემოსულია საჩივარი.
 - 13.3.4. დისციპლინურ ორგანოს შეუძლია გაესაუბროს მხარეს და მოითხოვოს ინფორმაციის დაზუსტება, დოკუმენტების და შესაბამისი მასალების წარდგენა. მან უნდა გაითვალისწინოს შემოსული შუამდგომლობები და დამატებითი ახსნა-განმარტება.
 - 13.3.5. ინფორმაციის ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაში, აღნიშნული გახდება დისციპლინური დევნის განხორციელების საფუძველი;



- 13.3.6. დისციპლინური პასუხისმგებლობის (დისციპლინური დევნის) აღმძვრელობის შემთხვევაში, მომჩივანს დაუბრუნოს საჩივარი და დასაბუთებული გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ;
- 13.3.7. განხორციელოს დისციპლინური დევნა და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება;
- 13.3.8. დისციპლინური დამრღვევისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, შესაბამისი გადაწყვეტილება აღსრულებისათვის წარუდგინოს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს ან/და სკოლის დეკანს.

14. დისციპლინური წარმოების კონფიდენციალობა

- 14.1. დისციპლინური წარმოების პროცესი კონფიდენციალურია. დისციპლინური ორგანოს წევრები, ვალდებულნი არიან დაიცვან მათ ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა დისციპლინური წარმოების დროს, ამ დებულებით დადგენილი შემთხვევების გარდა;
- 14.2. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილებები საჯაროა.

15. დისციპლინური დევნის წარმოება

- 15.1. დისციპლინური დევნა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით, და ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით, სამართლიანი პროცედურის გზით;
- 15.2. დისციპლინური დევნის წამოწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით და კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ იგი საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას. სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს თავისი საქმის განხილვას;
- 15.3. დისციპლინური დევნის განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:
 - 15.3.1. წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ;
 - 15.3.2. დაესწროს დისციპლინური დევნის საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;
 - 15.3.3. მიაწოდოს საბჭოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;
 - 15.3.4. მონაწილეობა მიიღოს სკოლის საბჭოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;
 - 15.3.5. მოითხოვოს მის მიმართ დისციპლინური დევნის შესახებ საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე;
- 15.4. დისციპლინური დევნის საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს პროცესის ინიციატორ მხარეს. დისციპლინური დევნის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით და ამ კოდექსით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს;
- 15.5. სტუდენტს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება;

16. დისციპლინური წარმოების დაწყება

- 16.1. დისციპლინური წარმოების დაწყება შესაძლებელია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, სკოლის საბჭოს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, დეკანის, სტუდენტური თვითმმართველობის აგრეთვე იმ პირის განცხადებების/საჩივრის ან შეტყობინების საფუძველზე, რომელსაც მიაჩნია, რომ სტუდენტის ქმედებით დაირღვა მისი/სასწავლო უნივერსიტეტის უფლებები და ინტერესები;
- 16.2. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია:
- 16.2.1. მოტივირებული განცხადება/საჩივარი, რომელიც იწერება რექტორის სახელზე და რომელშიც მითითებული უნდა იყოს საჩივრის ავტორის სახელი, გვარი (თუკი იურიდიულია პირია - სახელწოდება, წარმომადგენლის სახელი, გვარი და იურიდიული მისაამართი), დისციპლინური დამრღვევის სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია, დარღვევის ჩადენის დრო, შესაძლო დარღვევის სახე, ფაქტობრივი გარემოებები, ამ გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები და მოთხოვნა;
- 16.2.2. პირის მიერ სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, ან სასწავლო უნივერსიტეტის სხვა რომელიმე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნორმების დარღვევა;
- 16.2.3. პირის მიერ კანონსაწინააღმდეგო (სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული) ან ისეთი არამართლზომიერი ქმედების ჩადენა, რაც ბღალავს სასწავლო უნივერსიტეტისა და საუნივერსიტეტო საზოგადოების პატივსა და ღირსებას, რეპუტაციას და იწვევს საზოგადოების თვალში მათ დისკრედიტაციას; სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში ეცნობებათ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს რეაგირებისათვის;
- 16.2.4. საგანმანათლებლო ხელშეკრულებების დარღვევა;
- 16.2.5. სიყალბის გამოვლენა იმ ინფორმაციასა თუ დოკუმენტაციაში, რის საფუძველზეც მოხდა პირის მიერ სტუდენტის სტატუსის მოპოვება;
- 16.2.6. უტყუარი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სტუდენტი ნარკოტიკური საშუალებების ან/და ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირია;
- 16.3. რექტორი შეისწავლის საჩივარს და გადაწყვეტს მისი დასაშვებობის საკითხს. თუკი საჩივარი არ შეიცავს დისციპლინური დარღვევის ნიშნებს, შემოტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ, შემოტანილია პირის მიმართ, რომელიც ამჟამად არ არის სტუდენტი, ან საჩივარი დაუშვებელია სხვა მიზეზების გამო, რექტორი საჩივრის მიღებაზე იტყვის უარს;
- 16.4. საჩივრის ან განცხადების მიღებიდან ერთი (1) თვის განმავლობაში, სკოლის საბჭომ უნდა შეისწავლოს საქმის მასალები, მიიღოს გადაწყვეტილება, არსებობს თუ არა დისციპლინური დევნის აღძვრის საკმარისი საფუძველი და გამოიტანოს გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრის, ან დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ; გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში საბჭომ უნდა დაიწყოს საქმის შესწავლა დაუყოვნებლივ, განმცხადებლის მიერ კანონიერი ინტერესის დასაბუთების შემთხვევაში.
- 16.5. არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, ან უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება თუ:
- 16.5.1. საჩივარი ან შეტყობინება არ აკმაყოფილებს დასაშვებობის პირობებს;
- 16.5.2. საჩივარი ან შეტყობინება ინფორმაციის სისწორის შემთხვევაშიც კი არ იძლევა დისციპლინური დევნის აღძვრის საუძველს;
- 16.5.3. შემოწმებული მასალები მიუთითებს, რომ პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული; ამ დროს ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი რეაგირება;
- 16.5.4. საჩივარი ან შეტყობინება შემოსულია პირზე, რომელიც ამჟამად არ არის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტი;



- 16.5.5. თუ საჩივრის ან შეტყობინების ავტორი უარს იტყვის საჩივარზე, დისციპლინური ორგანო უფლებამოსილია შეწყვიტოს ან გააგრძელოს დისციპლინური დევნა;
- 16.5.6. დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში დისციპლინური ორგანო საჩივარს ან განცხადებას უბრუნებს მომჩივანს და დაურთავს გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ.

17. დისციპლინური წარმოების შეჩერება და გადადება

- 17.1. დისციპლინური წარმოების შეჩერება შესაძლებელია, თუ შესწავლის დროს მოპოვებული მასალა ცხადყოფს, რომ პირს შესაძლოა ჩადენილი ჰქონდეს სისხლის სამართლის დანაშაული. ასეთ შემთხვევაში, საქმე უნდა წარიმართოს სათანადო კომპეტენციის მქონე ორგანოში;
- 17.2. დისციპლინური წარმოების გადადება შესაძლებელია, თუ საჩივრის შესწავლის პერიოდში წარმოიშვა ობიექტური სირთულეები ან დაბრკოლებები (პირის ავადმყოფობა ან სხვა შემთხვევები), რაც შეუძლებელს ხდის საქმის წარმოების გაგრძელებას;
- 17.3. დისციპლინური დევნის შეჩერების და/ან გადადების მიზეზის აღმოფხვრის მომენტიდან საქმის განხილვა განახლდება.

18. განცხადების/საჩივრის განხილვის წესები

- 18.1. დისციპლინურმა ორგანომ განცხადება/საჩივარი უნდა განიხილოს სამართლიანად და მიუკერძოებლად, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების დაცვით;
- 18.2. დისციპლინური ორგანოს სხდომები დახურულია, ხოლო დისციპლინური წარმოების მსვლელობაში მოპოვებული ინფორმაცია კონფიდენციალური; სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე სხდომა შეიძლება იყოს საჯარო;
- 18.3. დისციპლინური ორგანოს სხდომებს ხელმძღვანელობს მისი თავმჯდომარე;
- 18.4. საჭიროების შემთხვევაში, სხდომაში მონაწილეობის მისაღებად დისციპლინურმა ორგანომ უნდა მოიწვიოს მოწმეები და სხვა პირები, რომელთაც უნდა შეატყობინონ სხდომის ჩატერების თარიღი, დრო და ადგილი;
- 18.5. დისციპლინური ორგანო ვალდებულია მოისმინოს დისციპლინური დამრღვევის ახსნა-განმარტება, რომელსაც უფლება აქვს დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობა მიიღოს როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. მხარეებს აქვთ უფლება სრულად წარმოადგინონ საკუთარი პოზიცია, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, წარმოადგინონ წერილობითი და სხვა სახის მტკიცებულებანი, აღძრან შუამდგომლობები დამატებითი მასალების, დოკუმენტებისა და ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე, აგრეთვე ჩვენებების ჩამორთმევის მიზნით, მოითხოვონ სხვა პირების გამოცხადება და სხვა ამ მუხლით გაუთვალისწინებელი მოქმედებების განხორციელება;
- 18.6. დისციპლინურ ორგანოს უფლება აქვს, დაკითხოს მხარეები და სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული პირები, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები, მასალები და ინფორმაცია, გამოიძახოს მოწმეები და განხორციელოს სხვა ქმედებები;
- 18.7. დისციპლინური ორგანოს სხდომაზე სხდომის მდივანი ადგენს ოქმს, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი;
- 18.8. პირის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ან დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას დისციპლინური ორგანო იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. შესაბამის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. განსხვავებული აზრი ფორმდება წერილობით და თან ერთვის გადაწყვეტილებას.

19. დისციპლინური დამრღვევის მონაწილეობა საქმის განხილვაში

- 19.1. დისციპლინურმა ორგანომ შეიძლება მოითხოვოს დისციპლინური დამრღვევის განხილვის სხდომაზე დასწრება;
- 19.2. თუ პირი არ ცხადდება განხილვის სხდომაზე, სხდომა უნდა გადაიდოს 5 დღით. თუ პირი მეორედ არ ცხადდება დანიშნულ სხდომაზე არასაპატიო მიზეზით, დისციპლინური ორგანო უფლებამოსილია, განიხილოს საქმე დისციპლინური დამრღვევის დასწრების გარეშე; აგრეთვე, სათანადო საფუძველის არსებობის შემთხვევაში, გამოიტანოს გადაწყვეტილება და დააკისროს დისციპლინური სახდელი;
- 19.3. თუ პირი ვერ ცხადდება განხილვის დისციპლინური ორგანოს სხდომაზე მძიმე ავადმყოფობის გამო ან სხვა საპატიო მიზეზით, დისციპლინურმა ორგანომ უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა;
- 19.4. საქმის განხილვის შეჩერების მიზეზის ამოწურვის შემდეგ, დისციპლინური ორგანო განაახლებს საქმის განხილვას. საქმის განხილვის განახლების შემდეგ დამრღვევის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს ამ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას.

20. გადაწყვეტილების სახეები

- 20.1. დისციპლინურმა ორგანომ უნდა გადაწყვიტოს, ჩაიდინა თუ არა პირმა დისციპლინური დარღვევა და დააკისროს შესაბამისი სახდელი პროპორციულობის პრინციპის დაცვით;
- 20.2. დისციპლინურ ორგანოს უფლება აქვს, მიიღოს შემდეგი სახის გადაწყვეტილებები:
 - 20.2.1. დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ, თუ პირს არ დაუმტკიცდა დისციპლინური დარღვევის ჩადენა, სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა, თუ პირს სტუდენტის სტატუსი შეუწყდა საქმის განხილვამდე ან გადაწყვეტილების გამოტანამდე, თუ დისციპლინური ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულია წინამდებარე კოდექსის ნორმების არსებითი დარღვევის შედეგად;
 - 20.2.2. პირისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ თუ მის მიერ დისციპლინური დარღვევა დადასტურდა.

21. დისციპლინური სახდელების დაკისრება

- 21.1. დისციპლინური სახდელის დაკისრებისას დისციპლინური ორგანო ვალდებულია გაითვალისწინოს დარღვევის (დარღვევების) სიმძიმე და ხარისხი, მიყენებული (ან შესაძლო) ზიანი. პირის პასუხისმგებლობა იზრდება დისციპლინური გადაცდომის სიმძიმისა და ხარისხის პროპორციულად ან ნორმების განმეორებითი დარღვევისას; თუ პირის მიერ დადასტურდა დისციპლინური დარღვევა და მას ადრე დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, დისციპლინურ ორგანოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება უფრო მკაცრი დისციპლინური სახდელის გამოყენების შესახებ;
- 21.2. დაუშვებელია რამდენიმე სახდელის დაკისრება დარღვევისათვის, რომელზეც უკვე მიღებულია გადაწყვეტილება;
- 21.3. გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ აუცილებლად უნდა იყოს დოკუმენტურად დასაბუთებული.

22. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების შინაარსი

- 22.1. გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს:

- 22.1.1. დისციპლინური ორგანოს დასახელებას;
- 22.1.2. დისციპლინური ორგანოს შემადგენლობას;
- 22.1.3. საქმის განხილვის თარიღს;
- 22.1.4. დისციპლინის დამრღვევის სახელს, გვარს;
- 22.1.5. დისციპლინური დევნის დაწყების და დისციპლინური სახდელის დაკისრების თარიღს;
- 22.1.6. დისციპლინურ საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებს;
- 22.1.7. დისციპლინური დარღვევის არსსა და დისციპლინური დამრღვევის შეპასუხებას;
- 22.1.8. გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს;
- 22.1.9. დისციპლინური დარღვევის სახესა და დაკისრებული დისციპლინური სახდელის სახეს;
- 22.1.10. დისციპლინური წარმოების შეწყვეტის, საჩივრის ან შეტყობინების უარყოფის, ან დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველს.

23. შეტყობინება დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების შესახებ

- 23.1. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილება ეცნობება დისციპლინურ დამრღვევს გადაწყვეტილების გამოტანიდან ხუთი (5) დღის განმავლობაში;
- 23.2. გადაწყვეტილების ასლი უნდა დაერთოს დისციპლინური დამრღვევის პირად საქმეს.

24. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება

- 24.1. დისციპლინის დამრღვევი უფლებამოსილია გასაჩივროს დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით გადაწყვეტილების გადაცემიდან ერთი თვის ვადაში.

25. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილებების აღსრულება

- 25.1. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილებების აღსრულება სავალდებულოა და მასზე პასუხისმგებლობა ეკისრება უნივერსიტეტის რექტორს;
- 25.2. დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილებები ძალაში შედის გასაჩივრების ვადის გასვლისთანავე, ან გასაჩივრების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე. უნივერსიტეტის რექტორი ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ვალდებულია აღსრულოს გადაწყვეტილება მისი ძალაში შესვლიდან ერთი (1) თვის ვადაში;
- 25.3. სტუდენტის მიმართ დისციპლინური ორგანოს გადაწყვეტილებების აღსრულება ხდება დეკანის მიერ, ხოლო სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით ამ უკანასკნელის წარდგინებით და რექტორის ბრძანებით.

26. სახდელის მოქმედების ვადები

- 26.1. სახდელები: შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური მოქმედებს მხოლოდ გარკვეული ვადით, რომლის ამოწურვამდეც დისციპლინური დამრღვევი ითვლება დისციპლინურ სახდელშეფარდებულად;
- 26.2. თუ შესაბამისი პერიოდის განმავლობაში პირი არ ჩაიდენს დისციპლინურ დარღვევას შენიშვნა ძალას კარგავს შესაბამისი გადაწყვეტილების შესვლიდან სამი თვის შემდეგ, საყვედური - ექვსი თვის შემდეგ, სასტიკი საყვედური - ერთი წლის შემდეგ.

თავი VI. დასკვნითი დებულებანი

27. შეღავათები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის

27.1. სასწავლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის აწესებს შეღავათებს მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, რაც შეიძლება გამოიხატოს მათთვის სპეციალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, ინდივიდუალური მომსახურების, ფინანსური დახმარების გაწევის, თუ სხვა შეღავათების დადგენაში.

28. დასკვნითი დებულებანი

- 28.1. ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე – იკრძალება: უნივერსიტეტის აუდიტორიებში და გაუთვალისწინებელ ადგილებში სიგარეტის მოწევა, ბანქოს თამაში, მეცადინეობებზე მობილურის არადანიშნულებისამებრ გამოყენება, ხმაური, ბიბლიოთეკის წიგნების დაზიანება, სასწავლო პროცესის სხვა ხასიათის დარღვევა;
- 28.2. პიროვნების პასუხისმგებლობა იზრდება ნორმების განმეორებითი დარღვევის ან დისციპლინური გადაცდომის ხარისხის პროპორციულად.
- 28.3. დებულება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

რექტორი,
აკაკი ხელაძე

